<u>თემა 2.</u> სოციალური პოლიტიკის საგანი, ობიექტი და სუბიექტები

მერაბ ვანიშვილი –
სტუ-ს პროფესორი
ვახტანგ დათაშვილი –
სტუ-ს პროფესორი
ნინო ვანიშვილი –
სტუ-ს დოქტორანტი

<u>გ ე გ მ ა:</u>

- სოციალური პოლიტიკის საგანი და ობიექტი;
- სოციალური პოლიტიკის სუბიექტები და მიზნები;
- სოციალური პოლიტიკის ტიპები და ძირითადი ფუნქციები;
- სოციალური პოლიტიკის განხორციელების სფეროები და დონეები;
- სახელმწიფოებრივი სოციალური პოლიტიკა;
- სოციალური სამართალი და მისი როლი სოციალური პოლიტიკის რეალიზაციაში;
- საკონტროლო დავალებები და ამოცანები თვითშემოწმებისათვის;
- რეკომენდებული ლიტერატურა.

<u>სოციალური პოლიტიკის საგანი და ობიექტი</u>

ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმირებამ აქტუალური გახადა საკითხი ეკონომიკური და სოციალური განვითარების თანაფარდობის, სოციალური პრობლემების გადაჭრის წესებისა და გზების შესახებ საზოგადოების ძირეული რეფორმირების პერიოდში.

საზოგადოების განვითარების მიზნებისა და საშუალებების თვალსაზრისით, სოციალური პოლიტიკა მიეკუთვნება მიზანდასახულობათა სფეროს. სოციალური პოლიტიკის მიზანია საზოგადოებაში კეთილსასურველი სოციალური კლიმატისა და სოციალური თანხმობის, მოსახლეობის ძირითადი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უზრუნველმყოფი პირობების შექმნა. სოციალური პოლიტიკა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მისი სპეციფიკური საქმიანობა, რომელიც მიმართულია თითოეული მოქალაქის უფლების რეალიზაციას – თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, შრომითი და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში.

სოციალური პოლიტიკის როგორც მეცნიერების საგანია საზოგადოების თვისებები, კანონზომიერებები, შინაარსობრივი ურთიერთობები, აგრეთვე საზოგადოებრივი პრაქტიკის პროცესები და ფორმები, რომლებიც წარმოადგენენ სოციალური ჯგუფების ურთიერთქმედებას მათი საზოგადოებრივი მდგომარეობის საბაბით.

პოლიტიკური ხელმძღვანელობა აყალიბებს საზოგადოების სოციალური განვითარების მიზნებს, რაც სოციალური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სახელმწიფო ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საწარმოო კოლექტივები ანხორციელებენ სოციალურ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებასთან, მისი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასთან, საზოგადოებაში სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობისა და სოციალური პარტნიორობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სოციალური მიზნებისა და შედეგების მიღწევაზე.

ობიექტ-სუბიექტის ურთიერთობათა სისტემაში *სოციალური პოლიტიკის ობიექტად* გამოდის მთელი თვითმოქმედი მოსახლეობა, ცალკეული მოქალაქეები, გარკვეული დონის სოციალური ერთობები, რომლებიც გაერთიანებული არიან კონკრეტული კავშირებითა და ურთიერთობებით.

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ობიექტი – ეს არის დაქვემდებარებული, პასიური, მეორადი მმართველობითი სტრუქტურა, რომელიც არ გამოირჩევა საკუთარი აქტივობითა და ინიციატივით. თუმცა, ეს ყოველთვის ასე არაა, მით უფრო, როცა საუბარი მიდის საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ.

mocemul konteqst Si სოციალური პოლიტიკის ობიექტი წარმოდგენილია საზოგადოების სოციალური სფეროთი, კონკრეტულად, მისი მთავარი შემადგენელი ელემენტებით, ასევე მათი ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა მოსახლეობის კეთილდღეობა, განათლება, ჯანმრთელობა, სოციალური სტაბილურობა, სოციალური ჯგუფების ურთიერთობათა კონსტრუქტიულობა და ა.შ.

სოციალური პოლიტიკის მთავარი ობიექტი არის საზოგადოების სხვადასხვა ფენების (ჯგუფების, კლასების) სოციალური მდგომარეობა. იგი განისაზღვრება შემდეგი პირობებით: როგორია საზოგადოებრივი მოწყ-

ობა, როგორ პრინციპებს ეყრდნობა იგი – სოციალურ კომპრომისს თუ საზოგადოების შინაგან დაპირისპირებას, რომელიც შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს; ვის აქვს საზოგადოებაში ძალაუფლება, ვის ინტერესებს გამოხატავს იგი; როგორია ეკონომიკის ფუნქციონირების საფუძვლები. ამ შემთხვევაში იგულისხმება, თუ ვის ეკუთვნის საკუთრება, ვინ იღებს ეკონომიკაში გადაწყვეტილებებს, როგორია ეკონომიკური გარემო, როგორია შემოსავლების განაწილების პრინციპები, ჯანმრთელობის, საცხოვრებლით უზრუნველყოფის და სხვა პირობები; რამდენად უზრუნველყოფილია ეკოლოგიური უსაფრთხოება; როგორია გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მექანიზმები; როგორი პრინციპებითა და მექანიზმებით იზდება სოციალური დაცვა და სხვა [13, გვ. 576].

ყოველივე ზემოაღნიშნული, მთლიანობაში, წარმოადგენს საზოგადოებრივ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც ცალკეული სოციალური ჯგუფების, ასევე მთელი საზოგადოების მდგომარეობას.

<u>სოციალური პოლიტიკის სუბიექტები და მიზნები</u>

სოციალური პოლიტიკის არსის მეცნიერულად მკაცრ განსაზღვრებასთან ერთად, ლიტერატურაში გავრცელებულია სოციალური პოლიტიკის ზედაპირული განსაზღვრებებიც, რომლებიც შემოიფარგლებიან მისი ცალკეული შინაარსობრივი მახასიათებლებით, ხშირად კი ზედაპირული ფორმებითაც.

ასე, მაგალითად, ხშირად სოციალური პოლიტიკა დაყავთ სოციალური მდგომარეობის ამა თუ იმ პარამეტრების უზრუნველყოფაზე მიმართული ზომებისა და ღონისძიებების ერთობლიობამდე.

არცთუ იშვიათად სოციალურ პოლიტიკას ზღუდავენ სახელმწიფოს საქმიანობით, ივიწყებენ რა საზოგადოების სხვა სუბიექტების საქმიანობას.[1] ან წინ წამოწევენ სოციალური მდგომარეობის მხოლოდ ზოგიერთ პარამეტრს (მაგალითად, ცხოვრების დონეს ან დასაქმებას).

სოციალური პოლიტიკის ყველა მსგავსი არასაკმარისად სიღრმისეული წარმოდგენა ართულებს მისი არსისა და პრობლემატიკის მთელი სისრულით აღქმას საზოგადოებრივ კანონზომიერებათა დონეზე.

სოციალური პოლიტიკის შინაარსობრივი გახსნისათვის აუცილებელია სოციალური ჯგუფების ურთიერთქმედების პროცესის და სოციალური პოლიტიკის სუბიექტების დახასიათება შემდეგი უმნიშვნელოვანესი ასპექტებით:

- რეალურად ვინ მონაწილეობს სოციალურ პოლიტიკაში, ე.ი. უნდა განისაზღვროს მისი რეალურად მოქმედი და სოციალურად პასიური სუბიექტების წრე;
- ყველაზე გავლენიანი სუბიექტების (კლასების, სოციალური ჯგუფების) შემადგენლობა;
- მათი სოციალური მდგომარეობის გადამწყვეტი პარამეტრები;
- მათი ყველაზე მნიშვნელოვანი თანამედროვე სოციალური პრობლემები;
- სახელმწიფოს ადგილი სოციალურ პოლიტიკაში;
- სოციალური პოლიტიკის ყველაზე გავლენიანი სუბიექტების მიზნები, მათი სტრატეგიები და პროგრამული პრიორიტეტები;
- სოციალური ძალების კონკრეტულ-ისტორიული თანაფარდობა;
- სოციალური განვითარების დამკვიდრებული მდგრადი ტენდენციები და ვექტორები;
- საზოგადოების სოციალური მდგრადობის ხარისხი, მისი სტაბილურობისა და არასტაბილურობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორები.[2]

სოციალური პოლიტიკის სუბიექტები. სოციალური პოლიტიკის ფორმირებასა და რეალიზაციაში მონაწილეობს მრავალი სუბიექტი. მათი საქმიანობა განისაზღვრება კონკრეტული სოციალური ინტერესებით და ხორციელდება ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის საფუძველზე. საქართველოში ფორმირდება სოციალურ ურთიერთობათა რეგულირების სფეროში ხელისუფლების ყველა შტოს საქმიანობის ამსახველი საკონსტიტუციო, საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა.

სოციალური პოლიტიკის სუბიექტებია: ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, აგრეთვე სოციალურ სფეროში მოქმედი არასახელმწიფო ორგანიზაციები, მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებები და ინიციატივები.

სოციალური პოლიტიკის სუბიექტებს წარმოადგენენ ხელისუფლების საკანონმდებლო, აღ-

[1] სოციალური პოლიტიკის მთელი შინაარსის სახელმწიფოებრივ სოციალურ პოლიტიკამდე დაყვანას გააჩნია ისტორიული მიზეზი – ტოტალიტარული საზოგადოების ცნებებით აზროვნების ჩვევა.

[2] ესაა სოციალური უსაფრთხოების, მდგრადობისა და სტაბილურობის პრობლემები.

მასრულებელი და სასამართლო ორგანოები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის მიზნებს, ამოცანებს, პრიორიტეტებს, ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზას და ატარებენ უშუალო პრაქტიკულ მუშაობას მისი რეალიზაციისათვის [13, გვ. 579].

ეს იმას ნიშნავს, რომ *სოციალური პოლიტიკა* მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივა არ არის. თუმცა, სახელმწიფო ნებისმიერ ვითარებაში უნდა ასრულებდეს სოციალური პრობლემების კომპლექსური და თანმიმდევრული გადაწყვეტის მარეგულირებელი ცენტრის ფუნქციას.

სოციალური პოლიტიკის მიზნები. სოციალური პოლიტიკის შემდგომი შინაარსობრივი დახასიათებაა იმ მიზანთა სისტემა, რომელსაც ისახავენ სოციალური პოლიტიკის აქტიური მონაწილენი (მისი სუბიექტები). თუ სოციალური ჯგუფი აქტიურად მოქმედებს და, მაშასადამე, სოციალური პოლიტიკის აქტიური სუბიექტია, მაშინ იგი საზოგადოებაში თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას აცნობიერებს როგორც საკუთარ მოქმედებათა მიზანს. თუ სოციალური ჯგუფი პასიურია, მაშინ მასთან მიზნის ნაცვლად არის ოცნება, სასწაულის ან სოციალური პოლიტიკის კეთილი სუბიექტის იმედი.

ტოტალიტარულ საზოგადოებაში სუბიექტების უმრავლესობა ნამდვილი და დამოუკიდებლად მოქმედი კი არა, არამედ დეკორატიულია. სოციალური პოლიტიკის რეალურ სუბიექტს წარმოადგენს მხოლოდ მმართველი ჯგუფი, ყველა დანარჩენი კი სოციალური პოლიტიკის ობიექტია.

დემოკრატიულ საზოგადოებაში, ტოტალიტარულისაგან განსხვავებით, არ შეიძლება დადგეს ფაქტიური ერთსუბიექტიანობის სიტუაცია. ამიტომ შეუძლებელია ისეთი სიტუაციაც, როცა სოციალურ პოლიტიკაში ყველა მის სუბიექტს ერთი მიზანი აქვს. სოციალური პოლიტიკის თითოეულ რეალურ სუბიექტს თავისი მიზანი გააჩნია. სოციალური მიზნების სიმრავლე ნორმალური და ერთადერთი ნაყოფიერი მდგომარეობაა მრავალსუბიექტიანი სამოქალაქო (დემოკრატიული) საზოგადოებისათვის.

<u>სოციალური პოლიტიკის ტიპები და ძირითადი ფუნქციები</u>

ყველგან და ყოველთვის გასათვალისწინებელია ის, რომ სოციალური პოლიტიკა წარმოადგენს უაღრესად სტრუქტურულ საზოგადოებრივ ურთიერთობას. აქედან გამომდინარეობს საზოგადოების როგორც მთლიანის ხასიათთან სოციალური პოლიტიკის კავშირის გათვალისწინების განმსაზღვრელი მნიშვნელობა.[3]

საზოგადოების, როგორც მთლიანის, მდგომარეობის გათვალისწინებით გამოიყოფა *სოციალური პოლიტიკის შემდეგი ტიპები:*

- სოციალური პოლიტიკა სოციალურად მდგრად საზოგადოებებში;
- სოციალური პოლიტიკა სისტემურ კრიზისში (რევოლუციურ სიტუაციებში) მყოფ საზოგადოებებში;
- სოციალური პოლიტიკა დეფორმაციის (საზოგადოებრივი სისტემის პერმანენტული კრიზისების) მდგომარეობაში მყოფ საზოგადოებებში;
- სოციალური პოლიტიკა სისტემური კრიზისიდან ძირეული (რევოლუციური) რეფორმების გზით გამოსულ საზოგადოებებში, ე.ი. გარდამავალი პერიოდის სოციალური პოლიტიკა.

როგორ ისტორიულ პირობებშიც არ უნდა მიმდინარეობდეს *სოციალური პოლიტიკა*, როგორი მისი ისტორიული ტიპიც არ უნდა ყალიბდებოდეს, ყოველთვის არის მეტად თუ ნაკლებად მუდმივი, ტიპიურად განახლებადი პრობლემების წრე, რომლებიც შეადგენენ მის რეალურ შინაარსს. მხედველობაში გვაქვს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საზოგადოებრივი მდგომარეობის, ცხოვრების საზოგადოებრივი პირობების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების მოთხოვნილების საკითხები.

ახლა დრო ჩამოთვლის წესით დავახასიათოთ ***სოციალური პოლიტიკის ძირითადი ფუნქციები:***

1. საზოგადოების სოციალური სიმტკიცის, სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სოციალური სტრუქტურა განსხვავებული უნდა იყოს სხვადასხვა საზოგადოებებში, ისტორიულად უნდა იცვლებოდეს ერთი საზოგადოების ისტორიაშიც კი რევოლუციებისა და რევოლუციური რეფორმების შედეგად. მაგრამ იგი აუცილებლად უნდა ფლობდეს სიმტკიცისა და თვითგანახლების (დინამიურობის) ნიშნებს, სხვაგვარად მოცემული საზოგადოება წყვეტს არსებობას. სოციალური სტრუქტურა იმდენად მტკიცე უნდა იყოს, რომ უძლებდეს როგორც შიდა, ისე გარე საფრთხეებს და, ამასთან, ატარებდეს რეფორმებისა და რევოლუციების გზით თვისებრივად განახლების პოტენციალს.

2. ხელისუფლების პოლიტიკური სიმტკიცის უზრუნველყოფა. ასეთი სიმტკიცე განსხ-

[3] ჯერ-ერთი, საზოგადოებრივი მოწყობის ხასიათთან, საზოგადოებრივი წყობის ტიპთან, და მეორეც, საზოგადოების განვითარების ფაზის, პერიოდის, ეტაპის სპეციფიკასთან.

ვავებულად მიიღწევა სხვადასხვა ტიპის საზოგადოებებში და სხვადასხვა კონკრეტულ ისტორიულ პირობებში, მაგრამ არსი ყოველთვის დაიყვანება პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში სოციალური ჯგუფების (კლასების) რეალური მონაწილეობის ისეთ განაწილებაში, რომელიც შეინარჩუნებდა ხელისუფლებაში გაბატონებული კლასის დომინირებულ გავლენას. წინააღმდეგ შემთხვევაში, იცვლება ხელისუფლების კლასობრივი ტიპი და გარდუვალი ხდება რევოლუციური გარდაქმნები. მათ შორის, ასევე პრიორიტეტული ხდება ახალი ხელისუფლების პოლიტიკური სიმტკიცის უზრუნველყოფა.

3. მეურნეობაში ძალაუფლების (საკუთრების) ისეთი განაწილების უზრუნველყოფა, რომელიც უმრავლესობის მიერ მიიჩნევა სამართლიანად.

4. ეკონომიკური რესურსების და ეკონომიკური ეფექტის განაწილების ისეთი სისტემის დამკვიდრება, რომელიც ასე თუ ისე იქნებოდა მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებში. ეკონომიკური რესურსების განაწილებაზეა, უპირატესად, დამოკიდებული ადამიანთა მატერიალური ცხოვრების პირობები საზოგადოებაში, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების პრობლემათა გადაწყვეტის შესაძლებლობები. ინვესტიციები და მათი სტრუქტურა, შემოსავლების დონე და დიფერენციაცია, ყოველწლიური სოციალური დანახარჯების ერთობლივი სიდიდე და სტრუქტურა, სოციალური დახმარებისა და მხარდაჭერის პირობები და ზომები – ამ და სხვა ეკონომიკურ პარამეტრებს აქვთ სოციალური აზრი და სოციალური დანიშნულება.

5. საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ აუცილებელი და საკმარისი დონის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

6. საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ როგორც მთლიანად მოსახლეობისათვის, ისე ყოველი ცალკეული სოციალური ჯგუფისათვის აუცილებელი და საკმარისი დონის სოციალური დაცულობის უზრუნველყოფა.

სოციალური დაცულობა ერთ-ერთი საზოგადოებრივი ფასეულობაა, რომელიც ვარაუდობს სოციალური სუბიექტების მიერ მოცემული კონკრეტულ-ისტორიული საზოგადოების, როგორც საცხოვრებელი გარემოს, ობიექტურ დადებით სოციალურ-ფსიქოლოგიურ შეფასებას. სოციალური დაცულობის გრძნობა წარმოიშობა და მტკიცეა, თუ სოციალური ჯგუფი ან მოსახლეობა მთლიანად აცნობიერებს, რომ სოციალური რისკები საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ მიზანმიმართულად მცირდება იმ ხარისხამდე, როცა მათ არ შეუძლიათ დაარღვიონ ნორმალური სოციალური მდგომარეობა.

სოციალურად მნიშვნელოვან დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის სოციალური მდგომარეობის რომელიმე ერთი ან რამდენიმე უმნიშვნელოვანესი პარამეტრის სოციალური ნორმიდან არსებითი გადახრა.

ნორმალური სოციალური მდგომარეობის დარღვევის რისკებს აქვს განსხვავებული ბუნება, ე.ი. წარმოიშობიან და იკვლავწარმოებიან სხვადასხვა მიზეზებით (სტიქიური უბედურებები, საომარი მოქმედებები, ეპიდემიები, რევოლუციები, სახელმწიფო გადატრიალებები, დემოგრაფიული აფეთქებები და ჩავარდნები და ა.შ.).

სოციალური რისკები რისკების საერთო სისტემიდან იმით გამოიყოფა, რომ ისინი წარმოიშობიან და არსებობენ საზოგადოების განვითარების არა საგანგებო, არამედ ჩვეულებრივ (ნორმალურ) პირობებში, კანონზომიერად (და არა შემთხვევით) თან ახლავს საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებას და, რაც მთავარია, პირობადებული არიან სწორედ საბაზო საზოგადოებრივი ურთიერთობებით, ნორმალური (ყოველდღიური, რეგულარული) საზოგადოებრივი წესრიგით.

საზოგადოება წარმოშობს და განავითარებს სოციალური რისკებისაგან დაცვის სისტემას – ***სოციალურ დაცვას.*** ეს არის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი წამყვანი ფუნქცია. იგი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ იმგვარად უნდა სრულდებოდეს, რომ სოციალურ დაცულობას გრძნობდეს როგორც მოსახლეობა მთლიანად, ასევე ყოველი ცალკეული სოციალური ჯგუფი.

პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თანამედროვე პირობებში **სოციალური დაცვის ძირითადი მიმართულებებია:**

- მოსახლეობის შემოსავლების ინდექსაცია;[4]
- შემოსავლების მიხედვით მინიმალური სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა;[5]
- სოციალური სფეროს რეგულირება სახელმწიფოს მინიმალური სტანდარტებისა და ნორმატივების დახმარებით;[6]

[4] იგულისხმება ფასების ზრდასთან დაკავშირებით რეალური შემოსავლების შენარჩუნება.

[5] აქ მთავარია საარსებო მინიმუმის სწორი განსაზღვრა და დაცვა, ხელფასი და პენსია უნდა გაიზარდოს თუნდაც საარსებო მინიმუმის დონეზე.

[6] ესაა ბიუჯეტის ხარჯები შრომისუუნარო მოსახლეობის განათლებაზე, ჯანმრთელობაზე, საცხოვრებელზე, სოციალურ მომსახურებაზე.

- შედავათების გავრცელება;[7]
- სოციალური დაზღვევა;[8]
- სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დახმარება[9] [13, გვ. 649-651].

სოციალური პოლიტიკის განხორციელების სფეროები და დონეები

საზოგადოებაში სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობები არ არსებობენ განცალკევებულად; ფაქტობრივად, ისინი წარმოადგენენ ყველა სამეურნეო, კულტურული და სამომხმარებლო პროცესების საზოგადოებრივ ფორმას. სოციალურ პოლიტიკას ამ პროცესებში შემოაქვს მათი დაკავშირებულობა კლასების, სოციალური ჯგუფების, ერთობების ინტერესების მრავალფეროვნებით.

მეურნეობის ზოგიერთ დარგსა და სფეროში სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობათა გავლენა (როლი, მნიშვნელობა) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და განსაზღვრავს მათ თვისებრიობას. სწორედ ასეთია სოციალური მეურნეობის დარგთა კომპლექსი და სოციალურ-შრომითი სფერო.

სოციალური მეურნეობა – ეს არის ეროვნული მეურნეობის დარგთა კომპლექსი, რეალური ეკონომიკის სექტორი, რომელიც აწარმოებს მოსახლეობის ნორმალური ცხოვრების უზრუნველმყოფ მატერიალურ-ნივთობრივ დოვლათსა და მომსახურებას.

სოციალურ მეურნეობას მიეკუთვნება განათლება, მეცნიერება, კულტურა, ჯანმრთელობის დაცვა, საბინაო მეურნეობა, კომუნალური მეურნეობა, სანიტარულ-საკურორტო კომპლექსი, გამაჯანსაღებელი და ტურისტული კომპლექსი (საექსპორტო ნაწილის გარეშე), ფიზკულტურა და სპორტი (პროფესიული სპორტის გარეშე), სოციალური მუშაობა და სხვ.[10]

სოციალური მეურნეობის სტრუქტურა დაბალანსებულია, თუ მისი ცალკეული დარგების და, მთლიანად, სოციალური მეურნეობის კომპლექსის ფუნქციონირება შეესაბამება სოციალურ დანიშნულებას, მიიღწევა და იკვლავწარმოება მოსახლეობისა და მისი შემადგენელი სოციალური ჯგუფების ცხოველქმედების ნორმალური (კეთილსასურველი) სოციალური პირობები.

სოციალური მეურნეობისა და მისი კონკრეტული დარგების სოციალური დანიშნულების უზრუნველყოფა სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს განსხვავებულ საზოგადოებრივ სისტემებში.

დემოკრატიულ საზოგადოებაში სოციალური მეურნეობის სოციალური დანიშნულება და დაბალანსებულობა ყალიბდება სოციალური პოლიტიკის შედეგად, მრავალი რეალური დამოუკიდებელი სუბიექტის (სოციალური ჯგუფების და მათი წარმომადგენლების) ურთიერთქმედების გავლენით.

სოციალური პოლიტიკა ხორციელდება სხვადასხვა დონეზე: – ფედერალურ, რეგიონულ, და აგრეთვე ცალკეულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დონეზე. თუ ფედერალურ დონეზე განისაზღვრება სოციალური განვითარების მიზნები, ამოცანები, და პრინციპები, ასევე მათი მიღწევის წესები და ზომები მთელი საზოგადოების მასშტაბით, რეგიონული სოციალური პოლიტიკა ხორციელდება რეგიონის სპეციფიკის (ეკონომიკური გან-

[7] აქ იგულისხმება ინვალიდებისათვის მედიკამენტების ზოგიერთი ჯგუფის უფასოდ ან ფასდაკლებით მიყიდვა და სხვ.

[8] ამ პროცესში მონაწილეობს სამი სუბიექტი: *დამსაქმებელი, დასაქმებული* და *სახელმწიფო*. სოციალური დაზღვევის ამოცანაა ცხოვრების დონის შენარჩუნება იმ შემთხვევაში, თუ მან შრომისუნარიანობა და ხელფასი დაკარგა (დაავადება, სიბერე, ტრამვა, უმუშევრობა). სოციალური დაზღვევის როლი განსაკუთრებით დიდია განვითარებულ ქვეყნებში (ევროპა, ძირითადად სკანდინავიის ქვეყნები).

[9] *სოციალური უზრუნველყოფა* მიმართულია მოხუცების, ინვალიდების, მარჩენალდაკარგულების, ბავშვების მხარდაჭერაზე. რაც შეეხება *სოციალურ დახმარებას*, მას არა აქვს სისტემური ხასიათი; იგი კონკრეტულია და გაეწევა ადამიანებს კრიზისულ სიტუაციებში (მარტოხელობა, მზრუნველობას მოკლებული ბავშვები და სხვ.).

[10] ისტორიულად, საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, სოციალური მეურნეობის მრავალი დარგი არ იყო აღიარებული რეალური ეკონომიკის ნაწილად, მათი საქმიანობის შედეგები კი არ იყო ჩართული ეროვნულ შემოსავალში. შრომის მწარმოებლურობის თაობაზე ვულგარული შეხედულების გავლენით, სოციალური მეურნეობის მრავალ დარგში შრომა არამწარმოებლურად ითვლებოდა, თვითონ ეს დარგები კი – ეროვნული შემოსავლის არა მწარმოებლებად, არამედ მხოლოდ მომხმარებლებად. აქედან წარმოიშვა სოციალური მეურნეობის შემადგენელი მრავალი დარგის ერთობლიობისათვის შესაბამისი დასახელება – არასაწარმოო სფერო, ხოლო მოგვიანებით კი – სოციალური სფერო. ახლა ეს ანაქრონიზმად იცა, თუმცა კატეგორიამ "სოციალური მეურნეობა" ჯერ კიდევ ვერ დაიკავა სათანადო ადგილი მეცნიერებასა და სამეურნეო პრაქტიკაში. თეორიულად და პრაქტიკულად განსაკუთრებით სუსტადაა დამუშავებული სოციალური მეურნეობის განვითარების კანონზომიერებები და ორგანიზაციის პრინციპები. ეს სისუსტე გარდუვალად აისახება სოციალური მეურნეობის ეკონომიკური, საფინანსო, საკრედიტო და საკადრო პოლიტიკის ფორმირებაზე.

ვითარების დონისა და შესაძლებლობების, ეთნოეროვნული, ისტორიულ-კულტურული და სხვა თავისებურებების) გათვალისწინებით.

სოციალური პოლიტიკა და, შესაბამისად, მისი სუბიექტების საქმიანობა რეგიონალ და ადგილობრივ დონეებზე, უწინარეს ყოვლისა, მიმართულია მოსახლეობის კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტაზე.

სოციალური პოლიტიკის სუბიექტები სტრატეგიულ მიზნებს ანხორციელებენ გრძელვადიან ღონისძიებათა სისტემის მეშვეობით. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, სოციალურ-შრომითი ურთიერთობების მდგომარეობა შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, სახელმწიფოს ხელში ახალი სოციალური ფუნქციების მოქცევა მოითხოვს ფუნქციათა მკვეთრ გამიჯვნას ხელისუფლების ფედერალურ და რეგიონულ ორგანოებს შორის, ასევე პრიორიტეტების დაზუსტებას გრძელ-, საშუალო- და მოკლევადიანი, მიმდინარე სოციალური პროგრამების მოსამზადებლად.

ხელისუფლების ფედერალური ორგანოები ღებულობენ საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებს, რომლებიც არეგულირებენ სოციალური პოლიტიკის ზოგად პრინციპებს ქვეყანაში, ადგენენ მინიმალური სოციალური გარანტიების ერთიან სისტემას შრომის ანაზღაურების, საპენსიო უზრუნველყოფის, დახმარებების, სტიპენდიების, სამედიცინო მომსახურების, განათლებისა და კულტურის სფეროში. აქვე მუშავდება მიზნობრივი სოციალური პროგრამები, ფორმირდება არასაბიუჯეტო სახელმწიფო ფონდები, განისაზღვრება მოსახლეობის ფულადი შემოსავლებისა და დანაზოგების კომპენსაციის პირობები და წესი ინფლაციასთან დაკავშირებით და ა.შ.

ხელისუფლების რეგიონული ორგანოები ამუშავებენ და რეალიზაციას უკეთებენ რეგიონული მნიშვნელობის კანონებსა და სოციალურ პროგრამებს, უზრუნველყოფენ სოციალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა ფუნქციონირებას, შეიმუშავებენ სოციალური დახმარების მიმართულებებს და გეგმავენ სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას. სწორედ ხელისუფლების რეგიონული ორგანოები ანხორციელებენ საბინაო პოლიტიკას, პოლიტიკას განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და ა.შ. სფეროში.

ხელისუფლების ფედერალური და რეგიონული ორგანოების საქმიანობის გამიჯვნას სოციალური პოლიტიკის საკითხებში საფუძვლად უდევს ფედერალიზმის ისეთი ფუნდამენტური პრინციპები, როგორიცაა "როლების სავალდებულო განაწილება" ხელისუფლების ყველა დონეებს შორის ყველა საზოგადოებრივად მნიშვნელოვან სფეროში. ხელისუფლების ყოველი დონე აღჭურვილია შესაბამისი უფლებებითა და რესურსებით ამ სფეროებში დამოუკიდებელი და საპასუხისმგებლო საქმიანობისათვის.

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს სოციალურ ურთიერთობათა არსს საზოგადოებაში. იგი იძლევა საერთო სოციალური გარანტიების ჩამონათვალს, განსაზღვრავს უფლებამოსილებებს საქართველოს და მისი სუბიექტების სოციალურ სფეროში, ადგენს საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის როლს სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის გატარებაში და სახელმწიფოს სოციალურ ვალდებულებათა გარანტიებში, სახავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის დამოუკიდებელი რეალიზაციის კონტურებს. ყოველივე ეს მტკიცდება, კორექტირდება, ივსება და კონკრეტდება რეგიონულ კანონმდებლობაში.

საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო და საქართველოს მთავრობის ნორმაშემოქმედებით საქმიანობაში ფორმირდება ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები სოციალური პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების შინაარსისა და რეალიზაციის მექანიზმების თაობაზე.[11] ამასთან, შექმნილია სხვადასხვა დონის სახელისუფლებო ორგანოების მოქმედებათა საერთოქართული სამართლებრივი სივრცე სოციალურ სფეროში.

ხელისუფლების რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის შინაარსი სოციალურ სფეროში (სახელმწიფო სტანდარტების რეგიონული და ადგილობრივი კომპონენტები, რეგიონული სოციალური პროგრამების ჩამონათვალი, სოციალური სფეროს კონკრეტულ დარგში საქმიანობის შინაარსი და ორგანიზაცია, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დამფუძნებლები, ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების უფლებამოსილებები სოციალური სფეროს კონკრეტულ დარგში და მრავალი სხვა) განისაზღვრება შესაბამისი საკანონმდებლო ორგანოების კანონებითა და მთავრობის დადგენილებებით.

[11] საგულისხმოა, რომ სოციალური სფეროს მართვის ხაზით საერთოსახელმწიფოებრივი რეგლამენტაციის ნაწილი იქმნება აღმასრულებელი ხელისუფლების – მთავრობის, ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მიერ.

სახელმწიფოებრივი სოციალური პოლიტიკა

საყოველთაო აღიარებით, სახელმწიფოებრივი *სოციალური პოლიტიკა* არის სახელმწიფოს მოქმედება სოციალურ სფეროში, რომელიც მოცემულ დროში კონკრეტულ მიზანს ისახავს, განვითარების ეტაპების მიხედვით განსაზღვრავს ამოცანებს, უზრუნველყოფს ფინანსური და ორგანიზაციული რესურსების მიზანმიმართულ გამოყენებას.

საგულისხმოა შემდეგი თავისებურებაც: **ცენტრალიზაციის პრინციპებზე ფუნქციონირებად საზოგადოებაში *სოციალური პოლიტიკა* ტოტალიტარულ რეჟიმში ხორციელდება, დემოკრატიულში – დემოკრატიული სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა სუბიექტების ერთობლივი ძალისხმევით.** ტოტალიტარული საზოგადოებიდან დემოკრატიულში გადასვლის პერიოდი ქმნის გარდამავალი პერიოდის თავისებურ სოციალურ პოლიტიკას [13, გვ. 579].

სახელმწიფოებრივი *სოციალური პოლიტიკა* არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც მხოლოდ ფუნქციების ჯამი. ხასიათის, შინაარსისა და შინაგანი აგებულების მიხედვით, – ეს არის თვისებრივად ახალი დონის მთლიანი სისტემა. *აღნიშნული ერთიანობა განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით:*

- საზოგადოების მიერ სოციალური განვითარების მიზნებისა და ამოცანების, სოციალური პრიორიტეტების შერჩევა;
- ერთიანი კანონმდებლობა, რაც აყალიბებს მთლიან სოციალურ სივრცეს მოსახლეობის ყველა ფენისათვის;
- სახელმწიფოს და სოციალური პოლიტიკის სხვა სუბიექტების პროტექციონიზმი სოციალური სფეროს დაფინანსების უზრუნველყოფის სფეროში;
- ერთიანი სოციალური ინფრასტრუქტურა, ერთიანი საკადრო და საინფორმაციო უზრუნველყოფა [16, გვ. 12].

სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის პერიოდისაგან დამოკიდებულებით სუბიექტები თავის საქმიანობას აგებენ ამ პოლიტიკის დონისა და მიზნების შესაბამისად; ისინი განსაზღვრავენ კონკრეტულ ამოცანებსა და ღონისძიებებს. სუბიექტის სტატუსისა და როლისაგან დამოკიდებულებით, შეიძლება ასევე განხორციელდეს იდეოლოგიური, პროპაგანდისტული ხასიათის ამოცანები და ღონისძიებები.

სოციალური პოლიტიკის ძირითად სუბიექტს წარმოადგენს სახელმწიფო. ყოველი სახელმწიფო დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავისი განვითარების პერსპექტივებს. მაგრამ არსებობს გლობალური სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემებიც: ეკონომიკის ეკოლოგიური და სოციალური ორიენტაცია, ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცება, ქვეყნების გადასვლა მდგრადი განვითარების მოდელზე (რომელიც უზრუნველყოფს, თანამედროვე და მომავალი თაობების ინტერესთა თანასწორობას).

ეკონომიკა კვლავინდებურად სოციალური პრობლემების გადაჭრის საფუძვლად რჩება, მაგრამ ეკონომიკური ზრდის ამოცანების გადაწყვეტაში სოციალური სფეროს როლი გამუდმებით იზრდება. ეროვნული ეკონომიკები სულ უფრო აქტიურად ერთვებიან მსოფლიო მეურნეობაში, რაც ზრდის მათი გახსნილობის ხარისხს; ცვლის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების, ეროვნულ შესაძლებლობათა განაწილებისა და გამოყენების სტიმულირების მექანიზმს, წარმოებისა და ეკონომიკური ზრდის პირობებს.

ქართული საზოგადოების ძირეული ტრანსფორმაციის შედეგად იცვლება სოციალური პოლიტიკის ხასიათი და სახელმწიფოს, როგორც სოციალური პოლიტიკის ძირითადი სუბიექტის, როლი. სახელმწიფომ უარი თქვა საქმიანობის აღნიშნული სახის მონოპოლიაზე. სოციალური პროცესების რეგულირებაში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მრავალი სუბიექტის (სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და ორგანიზაციების, კერძო პირების) მონაწილეობა. ამდენად, სოციალური პოლიტიკა იძენს სახელმწიფო-საზოგადოებრივ ხასიათს.

გამოვყოფთ *სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის სფეროში სახელმწიფოს საქმიანობის ძირითად სახეებს:*

- საკანონმდებლო ორგანოების კანონშემოქმედებითი საქმიანობა;
- აღმასრულებელი ორგანოების ორგანიზაციულ-მმართველობითი, საფინანსო-ეკონომიკური, საპროგნოზო და სხვა საქმიანობა;
- სასამართლო ორგანოების საკონტროლო, საზედამხედველო საქმიანობა;
- ხელისუფლების ყოველი შტოს ერთობლივი საქმიანობა მოქალაქეთა სოციალურ-პროფესიულ და სხვა გაერთიანებებთან.

სოციალური განვითარების მართვა – მეტად რთული პროცესია. ეს, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ახალი ტიპის ფორმირებასთან. ამჟამად საქართველოში სოციალური

პოლიტიკის რეფორმირება მიმდინარეობს ძველი სისტემიდან შემორჩენილი სოციალური გარანტიების მოცულობისა და ჩამონათვალის გადიდების პირობებში, რაც არსებითად შეამცირებს სიღარიბის მასშტაბებს.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში გამოთქმულია საქართველოს მოქალაქეთა ნება, რომ დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა.[12]

კონსტიტუციის პირველ თავში ჩამოყალიბებულია კონსტიტუციური წყობილების საფუძვლები. პირველი თავი აცხადებს, რომ საქართველოს არის დემოკრატიული რესპუბლიკა; ქვეყნის ტერიტორია განსაზღვრულია 1992 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით; სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი; სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით; საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აგრეთვე, აფხაზური. ხაზგასმულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული ისტორიული როლი და აქვე აღიარებულია რწმენის სრული თავისუფლება.

სოციალური სახელმწიფოს საყოველთაოდ აღიარებულ მახასიათებლებს მიეკუთვნება:

- სადაზღვევო სოციალური ანარიცხების განვითარებული სისტემა და ბიუჯეტის შემავსებელი გადასახადების მაღალი დონე;
- სოციალური სფეროს დაფინანსების დიდი მასშტაბები;
- მომსახურებისა და სოციალური სამსახურების განვითარებული სისტემა მოსახლეობის ყველა ჯგუფისათვის;
- განვითარებული სამართლებრივი სისტემა, რომლითაც ხორციელდება ხელისუფლების დანაწილება, ხელისუფლების ყველა შტოს ფუნქციების მკვეთრი რეალიზაცია, მუშავდება სოციალური ცხოვრების ნორმატიულ-სამართლებრივი სისტემა.

ამჟამად ქართულ სახელმწიფოს ორიენტაცია აქვს აღებული ლიბერალურ სოციალურ პოლიტიკაზე, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს როლის შემცირებას მოქალაქეთა სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში. ლიბერალური მოდელისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის უღარიბესი ნაწილისათვის მისამართიანი სოციალური დახმარების გაწევა სოციალური პროგრამების დაფინანსების სადაზღვევო პრინციპის გაძლიერების პირობებში, ასევე პირადი სახსრების როლის ზრდა სოციალური მომსახურების ანაზღაურებაში. სახელმწიფო ბიუჯეტიდან აფინანსებს მხოლოდ მინიმალური გარანტიის სიაში ჩართულ მომსახურებებს.

სახელმწიფო პრიორიტეტების სისტემიდან გამომდინარე, სადღეისოდ შეიძლება გამოიყოს *სოციალურ-შრომითი სფეროს რეფორმირების შემდეგი მიმართულებები:*

- შრომისა და შემოსავლების განაწილების სფერო;
- საპენსიო სისტემა;
- სოციალური დაზღვევა;
- სოციალური მომსახურების სისტემა (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, საბინაო-კომუნალური სფერო და სხვ.);
- სოციალური დახმარება.

დაბოლოს, **უნდა გვახსოვდეს:** სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა არამც და არამც არ დაიყვანება სოციალური საკითხებით დაკავებული ხელისუფლების ორგანოების საქმიანობამდე. სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში მონაწილეობს სამი მხარე: ხელისუფლება (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები), საზოგადოება (პოლიტიკური ინსტიტუტები), მოსახლეობა (მოქალაქეთა სოციალურ-პროფესიული და სხვა გაერთიანებები, ცალკეული ინდივიდები).

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, სახელმწიფოსთან ერთად, *სოციალური პოლიტიკის სუბიექტებად სულ უფრო აქტიურად გამოდიან:*

- სახელმწიფო უწყებები და დაწესებულებები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;

[12] „საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგა-დოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას”[1].

- არასაბიუჯეტო ფონდები;
- საზოგადოებრივი, რელიგიური, საქველმოქმედო და სხვა არასახელმწიფო გაერთიანებები;
- კომერციული სტრუქტურები და ბიზნესი;
- სოციალური პოლიტიკის შემუშავებითა და რეალიზაციით დაკავებული პროფესიული მუშაკები;
- მოქალაქეები (მაგალითად, სამოქალაქო ინიციატივებში, თვითდახმარების ჯგუფებში მონაწილეობის მეშვეობით).

სოციალური სამართალი და მისი როლი სოციალური პოლიტიკის რეალიზაციაში

სოციალური სამართლის ნორმებით რეგულირდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა საკმაოდ ფართო წრე სოციალურ სფეროში. სოციალური სამართლის საგანს წარმოადგენს: მოსახლეობის დასაქმების, შრომის დაცვის და ჯანმრთელობის სამართლებრივი რეგულირება; სოციალური უზრუნველყოფა; სოციალური დაზღვევა და საპენსიო უზრუნველყოფა; ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების (სამხედრო მოსამსახურეთა, ვეტერანთა, ხანდაზმულთა, ინვალიდთა, ბავშვებიან მოქალაქეთა, ქალთა და ბავშვთა, ლტოლვილთა, იძულებით გადასახლებულთა, სხვადასხვა კატეგორიის თანამდებობის პირთა და ა.შ.) სოციალური დაცვის სამართლებრივი რეგულირება; სოციალური დაცვის ორგანოების ფორმირებისა და საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება.

სოციალური სამართალი დაკავშირებულია სახელმწიფოს სამართლის სხვა ისეთ დარგებთან, როგორიცაა: საკონსტიტუციო სამართალი, შრომის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, საფინანსო სამართალი და სისხლის სამართალი.

სოციალური სამართლის ძირითადი პრინციპები განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით, სამოქალაქო სამართლის რიგი ნორმებით, რომლებიც ითვალისწინებენ, მაგალითად, არასრულწლოვანთა უფლებების დაცვას, ასევე მათ სოციალურ დაცვას, მოქალაქის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებისას ზარალის ანაზღაურებას [1; 2].

ქალთა და არასრულწლოვანთა სოციალური დაცვისას გამოიყენება შრომის სამართლის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ქალებისა და არასრულწლოვანების შრომას [3].

სოციალური სამართლის ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ ბავშვიანი მოქალაქეებისათვის დახმარების სიდიდის დადგენასა და გაცემას, მჭიდროდაა დაკავშირებული საფინანსო სამართლის ნორმებთან [5].

სოციალური სამართალი ასრულებს რიგ ფუნქციებს. მათგან ძირითადია შემდეგი:

- *ეკონომიკური ფუნქცია* – მდგომარეობს ადამიანთა სიცოცხლის უზრუნველმყოფ საშუალებათა შექმნაზე, განაწილებასა და მოხმარებაზე, შრომის დაცვისა და შრომის ანაზღაურების ნორმებზე სამართლის ზეგავლენაში;
- *პოლიტიკური ფუნქცია* – ნიშნავს იმას, რომ სოციალური სამართლის ფარგლებში დაფიქსირებულია სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ძირითადი დებულებები;
- *ორგანიზაციული ფუნქცია* – ითვალისწინებს სოციალური დაცვის სამსახურების სისტემის შექმნას; უმუშევრობისაგან დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, სოციალური დაზღვევის ორგანიზაციას; ცხოვრების უსაფრთხო პირობების, მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფას; შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების კულტურის ამაღლებას;
- *აღმზრდელობითი ფუნქცია* – მდგომარეობს შრომის პროცესსა და ყოფაცხოვრებაში ურთიერთქმედების კულტურის ამაღლებაში, სხვა პირთა (განსაკუთრებით, სოციალურად მოუწყობელთა) ინტერესებისადმი პატივისცემაში.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალური დაცვის სისტემის წარმატებულ ფუნქციონირებას. სოციალური დაცვის ორგანიზაციის სამართლებრივი რეგულირება მდგომარეობს იმაში, რომ სოციალური დაცვის შესახებ არსებულ რიგ ნორმატიულ აქტებში გათვალისწინებულია მისი მართვის სისტემა. *ამ სისტემის სტრუქტურის კომპონენტებს მიეკუთვნება:*

- მმართველი ქვესისტემა (სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოები, ქალაქების/რაიონების ადმინისტრაციები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სოციალური დაცვის სახელმწიფო ორგანოები ცენტრსა და ადგილებზე, საქველმოქმედო ორგანიზაციები და საქველმოქმედო საქმიანობით დაკავებული მოქალაქეები);
- მართული ქვესისტემა (სოციალური დაცვის დაწესებულებები და სოციალურ დაცვას დაქვემდებარებული პირები სახელმწიფოს სოციალური კანონმდებლობის შესაბამისად);
- სოციალური დაცვის ღონისძიებათა შინაარსი;

❍ სოციალური დაცვის თაობაზე არსებული ნორმატიული აქტების შესრულებაზე სოციალური კონტროლი[13] და მათ დარღვევაზე პასუხისმგებლობა.[14]

ამასთან დაკავშირებით, **უნდა გვახსოვდეს:** სოციალური კონტროლი და პასუხისმგებლობა სოციალური პოლიტიკის ორგანიზაციის სისტემის სტრუქტურის სავალდებულო ელემენტია.

სამართლებრივი დაცვის სფეროში სოციალური სამართლის ნორმებით დარეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები წარმოადგენენ *სოციალურ სამართალურთიერთობებს.* ამ სამართალურთიერთობათა მონაწილე სუბიექტებს გააჩნიათ ურთიერთ ვალდებულებები და უფლებები.

სოციალური სამართალურთიერთობების მონაწილენი ქცევის ვარიანტების შერჩევაში შეზღუდული არიან სამართალურთიერთობათა ამ სახის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ჩარჩოებით.

სოციალურ სამართალურთიერთობათა ობიექტის ქვეშ გაგებულია სწორედ ის, რაზეც მიმართულია მისი მონაწილეების ქცევა. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს მატერიალური ან სამედიცინო დახმარების, სამართლებრივი მომსახურების გაწევა. სოციალურ სამართალურთიერთობათა სუბიექტების ურთიერთქმედების საბოლოო შედეგი იქნება მოცემული სამართალურთიერთობით გათვალისწინებული სოციალური დახმარების კონკრეტული სახის განხორციელება.

დაბოლოს, **ხაზგასმით უნდა აღინიშნოს:** სადღეისოდ, არსებული სირთულეებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად, საქართველოში მიმდინარეობს სამოქალაქო საზოგადოების, მისი ძირითადი სტრუქტურების ფორმირების პროცესი. ჩნდებიან და ვითარდებიან არასახელმწიფო საქველმოქმედო, სადაზღვევო ფონდები, არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც სულ უფრო აქტიურად ერთვებიან რთული სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში. სხვადასხვა დონის სუბიექტების აქტივობის დონე დამოკიდებულია ეკონომიკური, ფინანსური და საკანონმდებლო ხასიათის მრავალი პირობისაგან.

[13] საყოველთაოდ მიჩნეულია, რომ სოციალური კონტროლი წარმოადგენს ერთ-ერთს საზოგადოებრივ ურთიერთობათა იმ რეგულატორებიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალური სისტემის მდგრადობას და მასში შემავალი სუბიექტების მართვას.

[14] პასუხისმგებლობა ნიშნავს სოციალური პოლიტიკის სუბიექტების მიერ მათი უფლებების დაცვას და ვალდებულებების შესრულებას.

<u>საკონტროლო დავალებები და ამოცანები თვითშემოწმებისათვის</u>

1. განმარტეთ ცნებები – "სოციალური პოლიტიკის საგანი" და "სოციალური პოლიტიკის ობიექტი".

2. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

სოციალური პოლიტიკის სუბიექტებს წარმოადგენენ ..... (ვისი?) საკანონმდებლო, ... (რომელი?) და ..... (რომელი?) ორგანოები, რომლებიც განსაზღვრავენ ..... (ვისი?) სოციალური ..... (რისი?) მიზნებს, ... (რას?), პრიორიტეტებს, ნორმატიულ-სამართლებრივ ..... (რას?) და ატარებენ ..... (როგორ?) პრაქტიკულ ..... (რას?) მისი .....(რისთვის?).

3. დაასახელეთ სოციალური პოლიტიკის სუბიექტთა ძირითადი მახასიათებლები.

4. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

დემოკრატიულ საზოგადოებაში არ შეიძლება დადგეს ..... (როგორი?) ერთსუბიექტიანობის ..... (რა?). ამიტომ შეუძლებელია ისეთი ..... (რა?), როცა სოციალურ ..... (რაში?) ყველა მის სუბიექტს ..... (რამდენი?) მიზანი აქვს. ..... (რომელი?) პოლიტიკის თითოეულ ..... (როგორ?) სუბიექტს თავისი ..... (რა?) გააჩნია. სოციალური ..... (რისი?) სიმრავლე ..... (როგორი?) და ერთადერთი ნაყოფიერი ..... (რა?) მრავალსუბიექტიანი ..... (როგორი?) ..... (ვისთვის?).

5. საზოგადოების საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით, დაასახელეთ სოციალური პოლიტიკის ძირითადი ტიპები.

6. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

სოციალური რისკები წარმოიშობიან და ..... საზოგადოების

განვითარების არა ..... (როგორ?), არამედ ..... (.....)

(როგორ?) პირობებში, კანონზომიერად ..... ახლავს ..... (ვისი?)

ნორმალურ ..... (რას?) და, რაც ....., პირობადებული .....

სწორედ …….. (როგორი?) საზოგადოებრივი …… (რითი?), …… (როგორი?) საზოგადოებრივი …… (რითი?).

7. ჩამოთვლის წესით დაახასიათეთ სოციალური პოლიტიკის ძირითადი ფუნქციები.

8. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

ცენტრალიზაციის პრინციპებზე ფუნქციონირებად საზოგადოებაში სოციალური პოლიტიკა …… (როგორ?) რეჟიმში ……, დემოკრატიულში კი – …… (როგორი?) სახელმწიფოსა და …… …… (ვისი?) სხვა სუბიექტების ერთობლივი …… (რითი?).

9. ჩამოთვალეთ სოციალური პოლიტიკის დონეები და განსაზღვრეთ მათი თავისებურებანი.

10. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

სოციალური დაცულობის გრძნობა …… და ……., თუ სოციალური ჯგუფი ან …….. (ვინ?) მთლიანად ……, რომ …… (როგორი?) რისკები …… (ვისსა?) და …… (ვის?) მიერ …… (როგორ?) მცირდება … ხარისხამდე, როცა მათ … შეუძლიათ …… ნორმალური სოციალური …… (რა?).

11. ჩამოთვლის წესით დაახასიათეთ სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები.

12. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

სოციალურად მნიშვნელოვან დარღვევად …… ჩაითვალოს ….. თუ იმ …… (როგორი?) ჯგუფის სოციალური …….. (რის?) რომელიმე …… (რამდენი?) ან …… უმნიშვნელოვანესი პარამეტრის …… (როგორი?) ნორმიდან არსებითი …… (რა?).

13. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის სფეროში სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი სახეები.

14. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

ხელისუფლების რეგიონული ორგანოები …… და რეალიზაციას …… …… (როგორი?) მნიშვნელობის …… (რას?) და სოციალურ …… (რას?), უზრუნველყოფენ …… (როგორი?) ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა …… (რას?), შეიმუშავებენ …… (როგორი?) დახმარების …… (რას?) და გეგმავენ …… (როგორი?) ინფრასტრუქტურის …… (რას?).

15. ჩამოთვლის წესით დაახასიათეთ სოციალური პოლიტიკის სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტები.

16. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის …… (რაში?) და …… (რაშ?) მონაწილეობს …… (რამდენი?) მხარე: …… (ვინ?) (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები), …… (ვინ?) (პოლიტიკური ინსტიტუტები), …… (ვინ?) (მოქალაქეთა სოციალურ-პროფესიული და სხვა გაერთიანებები, ცალკეული ინდივიდები).

17. ჩამოთვლის წესით დაახასიათეთ სოციალური სახელმწიფოს საყოველთაოდ აღიარებული მახასიათებლები.

18. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში განსაკუთრებული …….. (რა?) აქვს …….. (როგორი?) დაცვის სისტემის …… (როგორ?) ფუნქციონირებას. სოციალური …… (რის?) ორგანიზაციის სამართლებრივი …… (რა?) მდგომარეობს იმაში, რომ …… (როგორი?) დაცვის შესახებ არსებულ რიგ ნორმატიულ …… (რაში?) გათვალისწინებულია მისი მართვის …… (რა?).

19. ჩამოთვლის წესით დაახასიათეთ სოციალური სამართლის მიერ შესრულებული ძირითადი ფუნქციები.

20. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

სოციალური …… (რა?) და …… (რა?) სოციალური პოლიტიკის …… (რის?) სისტემის …… (რის?) სავალდებულო ელემენტია.

21. ჩამოთვლის წესით დაახასიათეთ სოციალური დაცვის მართვის სისტემის სტრუქტურის კომპონენტები.

რეკომენდებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია. – თბილისი, 1995 წლის 24 აგვისტო// http://codex.ge/1055.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. – თბილისი, 1997 წლის 26 ივნისი. N786 – IIá // http://codex.ge/2790.
3. საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს შრომის კოდექსი". – თბილისი, 2010 წლის 17 დეკემბერი. №4113-რს // http://codex.ge/152.
4. საქართველოს კანონი "თავისუფლების ქარტია". - თბილისი, 2011 წლის 31 მაისი. №4717-Iს //http://codex.ge/2946.
5. საქართველოს კანონი "სოციალური დახმარების შესახებ". – თბილისი, 2006 წლის 29 დეკემბერი. №4289–რს // http://codex.ge/1389.
6. საქართველოს კანონი "დაზღვევის შესახებ". – თბილისი, 1997 წლის 2 მაისი. N 690 – IIს // http://codex.ge/1412.
7. საქართველოს კანონი "გენდერული თანასწორობის შესახებ". – 2010 წლის 26 მარტი. N 2844 – Iს // http://codex.ge/1070.
8. ევროპის სოციალური ქარტია. – თბილისი, 2010.
9. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი//მიღებულია და ღიაა ხელმოსაწერად, სარატიფიკაციოდ და მისაერთებლად გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის 2200 (XXI) რეზოლუციით. - ძალაშია 1976 წლის 3 იანვრიდან, 27-ე მუხლის შესაბამისად.
10. ჭითანავა ნ., თაკალანძე ლ. სოციალური ეკონომიკა: ფორმირება და განვითარება (ნაწილი I). - თბილისი, 2008.
11. Бабашкина А.М. Государственное регулирование национальной экономики. – М., 2003.
12. Волгин Н.А. Социальная политика. Учебник. Под общ. ред. Н.А. Волгина. - М.: Издательство «Экзамен», 2003.
13. Государственное регулирование рыночной экономики. Учебник. Под общей ред. Кушлина В.И., Волгина Л.И. – М., 2001.
14. Курс переходной экономики. Под ред. Абалкина Н.А. – М., 2001.
15. Ракитский Б.В. Социальная политика, социальная защита, самозащита трудящихся в обществе. Часть первая: Социальная политика. М., 1998.
16. Реформирование социальной сферы в условиях перехода к рыночной экономике. М.,1998.
17. Рынок труда: Учебник / Под ред. В.С. Буланова и Н.А. Волгина. - М., 2000.
18. Социальная политика и рынок труда: вопросы теории и практики (учебно-методические разработки) / Научн. ред. и состав. Н.А. Волгин, А.И. Щербаков. М., 1996.
19. Социальная политика: Толковый словарь / Общ. ред. Н.А. Волгина, отв. ред. Б.В. Ракитский. М., 2002.

პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტთა, მაგისტრთა და ბაკალავრთა საყურადღებოდ

იჩქარეთ სტატიების გამოქვეყნება, არჩევნები მიმდინარე 2013 წლის გაზაფხულზე ტარდება.

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა. XXI საუკუნის აქტუალური პრობლემების“ რედაქცია გთავაზობთ აქციას ჟურნალის ხელმოწერაზე 2013 წლისათვის:

♦ პროფესორ-მასწავლებლებს, დოქტორანტებს, მაგისტრებს და ბაკალავრებს: დაზოგეთ ოჯახის ბიუჯეტი და გამოიწერეთ ჟურნალი ერთი წლით. ერთი სტატიის ფასად გეძლევათ საშუალება გამოაქვეყნოთ ოთხი სტატია.

♦ იმ იურიდიულ პირებს, რომლებიც გამოიწერენ ჟურნალს ერთი წლით, რეკლამის განთავსების შემთხვევაში გამოწერის თანხა ჩაეთვლებათ ყველა გამოქვეყნებული რეკლამის ღირებულებაში.

♦ აქცია გრძელდება 2 მარტიდან 10 მაისამდე.

♦ აქციის პერიოდში ჟურნალის ერთი წლით გამოწერის თანხა 60 ლარია.

<u>ჟურნალის საბანკო რეკვიზიტებია:</u>

მიმღების ბანკი:
ს/ს „საქართველოს ბანკი“.
კოდი: **BAGAGE22**

მიმღების დასახელება:
შპს „სოციალური ეკონომიკა“

მიმღების ანგარიშის ნომერი:
GE06BG0000000267054700

ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ – XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები. რეგისტრირებულია თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიერ. რეგისტრაციის №19181.
რედაქტორის ტელ.: 2-36-51-16; 2-36-43-78; 599-33-53-92.
web: socialuri-economica.bpengi.com; www.socialuri-economica.ge
e-mail: social_economica@mail.ru; socialuri-economica@bpengi.com

გადაეცა ასაწყობად 20.02.13.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.02.13.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 23,0.

ტექნიკური რედაქტორი და კორექტორი: ნანა სახეჩიძე
კორექტორები: თინა ცისკარიშვილი, ნანა ბლუაშვილი, ნანა ბოლქვაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი: ზურაბ წერეთელი